ტრენინგი ჟურნალისტებისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იწვევს ჟურნალისტებს ტრენინგზე:

"ადამიანის უფლებები"

ჩატარდება 2 იდენტური, ორდღიანი ტრენინგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის.
-პირველი ტრენინგი გათვალისწინებულია აღმოსავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის და ჩატარდება 2012 წლის 1-2 დეკემბერს – ლოპოტას ტბაზე

-მეორე ტრენინგი გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის და ჩატარდება – 2012 წლის 8-9 დეკემბერს – ბათუმში, შერატონი მეტეხი პალასში ტრენინგს ორგანიზებას უწევს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ტრენინგის ფინანსური მხარდამჭერია საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) პროგრამის "ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას" (G-MEDIA) ფარგლებში.
ტრენინგზე განხილული იქნება შემდეგი თემები:
-ადამიანის უფლებათა და მათი დაცვის მექანიზმების ინტერაქტიული მიმოხილვა, ადამიანის ჯუფლებათა ევროპული კონვენციის ზოგადი მიმოხილვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმარვის პროცედურები
-შესავალი ადამიანის უფლებათა თეორიაში
-გამოხატვის თავისუფლება ზოგადად და გამოხატვის თავისუფლება სასამართლოსთან მიმართებაში
-პირადი ცხოვრების დაცულობა VS გამოხატვის თავისუფლება; ჟურნალისტური წყაროების დაცვა, გამოხატვის თავისუფლება VS რელიგიის თავისუფლება; საქართველოს წინააღმდეგ საქმეები
-უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე
-პატიმრობის სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5.3 მუხლის მიხედვით
-საქართველოს წინააღმდეგ საქმეები მე-5 მუხლზე
-წამების აკრძალვა
-გამონაკლისები სიცოცხლის უფლებიდან
ტრენინგს წარუძღვებიან მაღალკვალიფიციური ექსპერტები ადამიანის უფლებათა საკითხებში.
ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა:
-უნდა შეავსონ თანდართული "პროგრამის მონაწილის ანკეტა"
- მიუთითონ ტრენინგის შესაბამისი თარიღი (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის განკუთვნილი)
-მითითებული თარიღი და შევსებული ანკეტა გადმოაგზავნონ არაუგვიანეს ა/წ 22 ნოემბრის 18:00 საათისა, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: metreveli@gyla.ge მონაწილეების რაოდენობა შეზღუდულია და პრეტენდენტები შეირჩევიან შევსებული კითხვარის განხილვის შედეგად.
ტრენინგში მონაწილე ჟურნალისტებისათვის უზრუნველყოფილი იქნება მგზავრობის, ცხოვრებისა და კვების ხარჯების დაფარვა ორგანიზატორების მიერ.
აღმოსავლეთ საქართველოს ჟუნალისტების საყურადღებოდ:
-გამგზავრება თბილისიდან ლოპოტაზე იგეგმება 30 ნოემბერს 15:00 სთ-ზე, ხოლო

ლოპოტადან თბილისში დაბრუნება 2 დეკემბერს 17:00 სთ-ზე.

დასავლეთ საქართველოს ჟურალისტების საყურადღებოდ:
-ბათუმში, სასტუმროში განთავსება იგეგმება 7 დეკემბერს 15:00 სთ-დან, ხოლო ბათუმიდან გამომგზავრება - 9 დეკემბერს 17:00 სთ-ზე.
ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებზე გაიცემა სერტიფიკატები.
დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ.
საკონტაქტო პირი: თამარ მეტრეველი, metreveli@gyla.ge 599 51 00 63